ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 050/18

საჩივარი შემოტანილია: დ. ბ.-ის მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: დ. ბ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 აპრილს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ზ.-მა და მოითხოვა დ. ბ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ. ბ.-მ არაკანონიერად გაიფორმა მისი მეუღლის, გ. ზ.-ის ბინა, იმ დროს, როდესაც მისი მეუღლე იყო უმწეო მდგომარეობაში - მკურნალობის კურსს გადიოდა რეანიმაციაში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით დ. ბ.-ის და - ე. ბ. უპროცენტო იპოთეკით ჩაწერილი იყო მის საცხოვრებელ ბინაში, ქ. ბათუმში. საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ბ.-მ მის უნებართვოდ გააუქმა ნოტარიუსის მიერ გაფორმებული უპროცენტო იპოთეკის ხელშეკრულება და იგი ჩაანაცვლა პროცენტიანი იპოთეკით. საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ბ.-მ მისი ბინიდან ამოწერა თავისი და - ე. ბ. მის უნებართვოდ, ქ. ბათუმში არსებული ბინიდან და ჩაწერა მისი მეუღლის გ. ზ.-ის ბინაში, მისამართზე ქ. ბათუმში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ

უკანონო ქმედების შემდეგ დ. ბ.-მ აუქციონზე თაღლითობით გაყიდა მისი კუთვნილი ბინა, ვინაიდან მას უძრავ ქონებაზე მინდობილობა გაუქმებული ჰქონდა დ. ბ.-სთან და მისთვის სრულიად გაუგებარია, როგორ მოხერხდა კუთვნილი ქონების აუქციონზე გაყიდვა. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მას აუქციონის შედეგად არანაირი თანხა არ მიუღია.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ბ.-მ გამოიყენა უკანონოდ მისი მეუღლის მინდობილობა და საჯარო რესტრში დაირეგისტრირა ქ. ბათუმში არსებული ბინა, რომელზეც ამ ეტაპზე აქვთ დავა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად და საქმის დანართის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორის მიერ განცხადებაში მითითებული ადრესატი, დ. ბ., არ ირიცხება სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრად ერთიან სიაში.

2.2 ნ. ზ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 აპრილს.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ დ. ბ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება შემდეგში: საჩივრის ავტორის განმარტებით, დ. ბ.-მ უკანონოდ გაყიდა აუქცინზე მისი კუთვინილი ბინა, ქ. ბათუმში. კერძოდ, დ. ბ.-მ მისი და ე. ბ., რომელიც იყო ჩაწერილი საჩივრის ავტორის ბინაში უპროცენტო იპოთეკით, ამოწერა და ჩაწერა ნ. ზ.-ს მეუღლის გ. ზ.-ის კუთვნილ ბინაში, ამასთან, უპროცენტო იპოთეკა შეცვალა პროცენტიანი იპოთეკით. ამის შემდეგ დ. ბ.-მ პროფესიული თაღლითობით აუქციონზე გაყიდა მისი კუთვნილი ბინა უკანონოდ, რომლიდანაც ნ. ზ.-ს არანაირი თანხა არ მიუღია. საჩივრის ავტორის განცხადებით, დ. ბ.-მ ასევე უკანონოდ გამოიყენა მისი მეუღლის, გ. ზ.-ის მინდობილობა და დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში მისი კუთვნილი ბინა.

4.2 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე." „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში". სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, დ. ბ. არ წარმოადგენს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრს, შესაბამისად, ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი განიხილოს დ. ბ.-ის მიერ ადვოკატთა ეთიკის კოდექსითა და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმათა სავარაუდო დარღვევის საკითხი, ვინაიდან მასზე არ ვრცელდება აღნიშნული კანონმდებლობა.

4.3 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.” საპროცესო კოლეგია ხელმძღვანელობს ზემოხსენებული დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით და დ. ბ.-ის მიმართ წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ სააქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ”გ” ქვეპუქნტით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, მე-9 მუხლის ”ა” ქვეპუნქტით, მე-19-20 მუხლებით, 31 მუხლით, მე-40 მუხლის პირველი ნაწილი და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №050/18 დ. ბ.-ის მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანინე გელაშვილი/